ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №10.27/10/059

ქ. თბილისი 23 ივნისი 2017 წელი

1. **ხელშეკრულების დამდები მხარეები**

ერთის მხრივ **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობა** (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი **გამგებლის დიმიტრი ორმოცაძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „აქვა გეო"** (შემდგომში **„მიმწოდებელი"**), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **გიორგი ჯირკვალიძის** სახით ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის `ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

2. **ხელშეკრულების საგანი**

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში, წარმომადგენლობითი ხარჯებიდან, მინერალური წყლის (ნატურალური მინერალური წყალი „სნო პეტი" შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტის შესაბამისად (**CPVკოდი 15980000** - უალკოჰოლო სასმელები).

3. **ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: **336,6 (სამასოცდათექვსმეტი ლარი და 60 თეთრი) ლარი**, მ/შორის:

№	CPV	დასახელება	საქონლის აღწერილობა, დახასიათება	მწარმოებელი კომპანია/ ქვეყანა	განზომილება	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ ღირებულება (ლარი)
1	15981100	ნატურალური მინერალური წყალი ,,სნო"	0,5 ლ, პოლიეთილენის ბოთლში	შპს „აქვა გეო"/საქართველო	ცალი	1020	0,33	336,6
		სულ ჯამი						**336,6**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე საქონლის მიწოდების და მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. **შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი იქნება მაღალი ხარისხის, უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს.

5. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები**

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2017 წლის 29 ივნისის ჩათვლით.**

5.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია - ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ბ, გლდანის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა.

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

5.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

6. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენენ:

გიორგი ნეფარიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის აპარატის უფროსის მ/შ,
კახა გოგატიშვილი - პროვაიდერების ზედამხედველობისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი.

7. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)**

7.1 შესყიდვის ობიექტის სრულად მიწოდების შემდეგ (ან მიწოდების პარალელურად) შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება.

7.2 ვიზუალური დათვალიერების დროს, თვალსაჩინო ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს აღმოჩენილი ნაკლის შესახებ და მოსთხოვოს არაუმეტეს

2(ორი) კალენდარულ დღეში საკუთარი ხარჯებით მისი შეცვლა.
7.3 საჭიროების შემთხვევაში ინსპექტირების აქტის საფუძველზე შესაძლებელია მიწოდებულ საქონლს ჩაუტარდეს ექსპერტიზა.
7.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ხელშეკრულების 6.2 პუნქტში მითითებული პირი.
7.5 გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ანგარიშსწორების პირობები
8.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
8.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
8.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის სათანადო წესით გაფორმებიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.
8.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
9.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
9.2 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ პირობებთან.
9.3 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
9.4 მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა)მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
9.5 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა
ბ) ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელისშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
10.1 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი/უხარისხო შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 3(სამი) პროცენტის ოდენობით.
10.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2 (ნული მთელი, ორი მეათედი) პროცენტის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,4 (ნული მთელი, ოთხი მეათედი) პროცენტის ოდენობით,
10.3 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 5(ხუთი) პროცენტის ოდენობით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა
11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:
ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

13.2 სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

14. დაუძლეველი ძალა

14.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები,თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

14.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

14.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუწოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. სხვა პირობები

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიღებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობა	**შპს „აქვა გეო“**
მის: თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ბ	მის: მცხეთა, სოფ. მისაქციელი
ს/ კოდი: 209466843	ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი“
ქ. თბილისი, `სახელმწიფო ხაზინა“	ბანკის კოდი BAGAGE22
კოდი TRESGE22	ა/ა GE96BG 0000 0006 2167 1500
ა/ა GE24NB0330100200165022	ს/ კოდი: 204564113
ტელ: +995 32 2 381 980	ტელ: 32 2 470 410(147); 557 21 61 46
	ელ. მისამართი: mmachitidze@aquageo.ge
გამგებელი _____ **დიმიტრი ორმოცაძე**	**გენერალური დირექტორი** _____ **გიორგი ჯირკვალიძე**

ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი **23 ივნისი 2017 წელი**

ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის მიერ 2017 წლის „23“ ივნისის №10.27/10/059 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სასმელი წყლის (CPVკოდი-15981100,) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან (მიმწოდებელი - **შპს „აქვა გეო“**) ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი:

დ.ორმოცაძე ----------

ხელშეკრულების შესრულებასა და
კონტროლზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი:

გ.ნეფარიძე ----------

კ. გოგატიშვილი ----------

ხელშეკრულება შეადგინა:

წამყვანი სპეციალისტი შესყიდვების მიმართულებით

თ. გელაშვილი ----------